ფულის გათეთრების საწინააღმდეგო პოლიტიკა: საფუძვლები

ნაწილი 5: საგადასახადო კონსულტაცია



საგადასახადო კონსულტაცია ერთ-ერთი ყველაზე ფართოდ გავრცელებული მომსახურებაა, რომელსაც ბუღალტრები ასრულებენ დამკვეთებისთვის, ამიტომ ისინი კარგად უნდა იყვნენ ინფორმირებულნი სხვადასხვა მექანიზმის შესახებ, რომელთა გამოც საგადასახადო მომსახურება შეიძლება მოწყვლადი გახდეს ფულის გათეთრების მიმართ და, ამასთან, სიფრთხილეს უნდა იჩენდნენ ასეთ მომსახურებასთან დაკავშირებით. საგადასახადო სტრუქტურირების გამოყენება შესაძლებელია დანაშაულებრივი გზით მიღებული შემოსავლის დასაფარად ან კანონიერ შემოსავალზე გადასახადების გადახდისგან თავის ასარიდებლად. ბუღალტრისთვის, რომელიც საგადასახადო კანონშესაბამისობის მომსახურებას ასრულებს, შეიძლება ცნობილი გახდეს, რომ დამკვეთი ცდილობს საკუთარი მოგების ან აქტივების არასწორად წარდგენას.

როგორ იყენებენ დამნაშავეები საგადასახადო კონსულტაციას?

სტრუქტურები, რომლებიც იქმნება კანონიერი გზით გადასახადების შესამცირებლად, შეიძლება გამოიყენებოდეს ასევე დანაშაულებრივი გზით მიღებული შემოსავლის, აქტივების ან ფულადი სახსრების მოძრაობის უზრუნველსაყოფად.
დამნაშავე შეიძლება თავს წარმოაჩენდეს ისეთ პირად, რომელიც ცდილობს საგადასახადო კონსულტაციის მიღებას აქტივების განთავსებასთან დაკავშირებით საგადასახადო ორგანოებისთვის „მიუწვდომელ“ ადგილას, სამომავლო ვალდებულებების თავიდან აცილების მიზნით.

კანონიერი გზით გადასახადების მინიმუმამდე დაყვანა შეიძლება გადაიზარდოს გადასახადებისთვის თავის უკანონო არიდებაში. ეს კი დანაშაულია და, ამგვარად, პროფესიონალი ბუღალტრის ჩართულობა აღნიშნულ ფულად სახსრებთან დაკავშირებით შეიძლება ფულის გათეთრების დანაშაული იყოს.

დანაშაულებრივი გზით მიღებული შემოსავლის ლეგიტიმაციისთვის შესაძლებელია თვითონ საგადასახადო სისტემის გამოყენებაც, კერძოდ, დანაშაულებრივი გზით მიღებულ მოგებაზე გადასახადის გადახდის საშუალებით, თითქოს ის ნამდვილი ვაჭრობის შედეგადაა მიღებული.

როგორ გამოვიყენოთ „რისკზე დაფუძნებული მიდგომა?

გადასახადებთან დაკავშირებით ნებისმიერი საკონსულტაციო მომსახურების გაწევის დროს პროფესიონალმა ბუღალტერმა უნდა გაითვალისწინოს:

- გადასახადების დაგეგმვის კომერციული, ოჯახური ან პირადი მიზეზები;
- ვინ იღებს სარგებელს?
- აქვს თუ არა დამკვეთს საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევის ისტორია ან საგადასახადო ორგანოებს ჩაუტარებიათ თუ არა მისი მოკვლევა თაღლითობის გამო?
- გადასახადების დაგეგმვის სავარაუდო წარმატება დამოკიდებულია თუ არა საგადასახადო კანონმდებლობის იმგვარ არარეალისტურ ინტერპრეტაციაზე, რომ წარმოიქმნება გადასახადებისგან თავის არიდების რისკი?
- უკავშირდება თუ არა საგადასახადო მომსახურება ისეთ იურისდიქციებს, რომლებიც მაღალი რისკის მატარებლად მიიჩნევა ფულის გათეთრების თვალსაზრისით? ფინანსური ქმედებების სპეციალური ჯგუფი (FATF) აქვეყნებს ასეთი ქვეყნების სიას.
- მოიცავს თუ არა საგადასახადო მომსახურება კომპლექსური/ რთული სტრუქტურების შექმნას, რომლებიც შეიძლება ართულებდეს საბოლოო ბენეფიციარი მფლობელების იდენტიფიკაციას?

ნებაყოფლობითი საგადასახადო კანონშესაბამისობის პროგრამები (ზოგჯერ უწოდებენ „საგადასახადო ამნისტიას“) განსაკუთრებით ზრდის ფულის გათეთრების რისკს. ბუღალტრებმა, რომლებიც ამ პროგრამებთან დაკავშირებით ასრულებენ მომსახურებას, უნდა გაითვალისწინონ ფინანსური ქმედებების სპეციალური ჯგუფის (FATF) მიერ შემუშავებული საუკეთესო პრაქტიკის ამსახველი დოკუმენტი - ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლის პოლიტიკაზე ნებაყოფლობითი საგადასახადო კანონშესაბამისობის პროგრამების გავლენის მართვა.

მაგალითი გადასახადებისთვის თავის არიდების შესახებ

ბუღალტერი ერთ-ერთი დიდი ხნის დამკვეთისთვის, მდიდარი ადამიანისთვის, ასრულებს საგადასახადო კანონშესაბამისობის მომსახურებას. ბუღალტერი მას უფრო მეტ დეტალურ ინფორმაციას სთხოვს ზოგიერთ შემოსავალთან დაკავშირებით, რომელიც მიიღო წლის განმავლობაში ახალი ინვესტიციის განხორციელების შედეგად. დამკვეთი ბუღალტერს დაუკავშირებს თავის საინვესტიციო კონსულტანტთან.

საუბრის დროს კონსულტანტი ბუღალტერს ეუბნება: „მე მაქვს ეს დეტალიზებული ინფორმაცია და შემიძლია გამოგიგზავნოთ. შვეიცარიის საბანკო ანგარიშის დეტალებიც ხომ არ გსურთ?“. ბუღალტერს პირველად ესმის ამ ანგარიშის შესახებ და ამ ანგარიშიდან მიღებული შემოსავლებიც არასოდეს ყოფილა ასახული საგადასახადო დეკლარაციებში, რომლებსაც ბუღალტერი ამ დამკვეთისთვის ამზადებდა. ბუღალტერი კონსულტანტს ეკითხება: „ეს ახალი ანგარიშია?“ და ისიც პასუხობს : „აჰ, არა ძალიან დიდი ხანია მას ეს ანგარიში აქვს, ჯერ კიდევ მაშინ გახსნა, როცა მამამისი გარდაიცვალა 10 წლის წინ და შემოსავალი მიიღო იტალიური უძრავი ქონებიდან.“

ბუღალტერი შვეიცარიაში არსებული საბანკო ანგარიშის შესახებ ეკითხება დამკვეთს. ის ეუბნება, რომ, მისი აზრით, საჭირო არ იყო იქიდან მიღებული შემოსავლის დეკლარაციაში ასახვა – მას მიაჩნდა, რომ, ნებისმიერ შემთხვევაში, უკეთესია ფულის შენახვა საგადასახადო ორგანოების თვალსაწიერს მიღმა, რათა მათ არ მოეთხოვათ მიღებულ მემკვიდრეობაზე გადასახადის გადახდა.

ბუღალტერი დამკვეთს უხსნის, რომ მათ უნდა გამოასწორონ მდგომარეობა, როგორც არადეკლარირებულ შემოსავალთან, ისე მემკვიდრეობასთან დაკავშირებულ გადასახადთან მიმართებით. დამკვეთი ამბობს, რომ მოაგვარებს ამ საკითხს, მაგრამ რამდენიმე თვის შემდეგაც არაფერია შეცვლილი ბუღალტრის მოთხოვნის მიუხედავად და ბუღალტრის მიერ შედგენილ დეკლარაციას აკლია შვეიცარული შემოსავალი.

ბუღალტერი გადაწყვეტს, რომ მას აღარ შეუძლია დამკვეთისთვის მომსახურების გაწევა, ვინაიდან არსებული სიტუაცია მიუთითებს ბუღალტრის მხრიდან დამკვეთის შეგნებულ დახმარებაზე გადასახადებისგან თავის არიდებაში. ბუღალტერმა ფინანსური მონიტორინგის ადგილობრივ ორგანოში წარადგინა ანგარიში საეჭვო საქმიანობის შესახებ (SAR).

საფრთხის ძირითადი ნიშნები

- დამკვეთის ან მისი კონსულტანტების მხრიდან იმის მოთხოვნა, რომ ზოგიერთი მნიშვნელოვანი ფაქტი დამალულ იქნეს საგადასახადო ორგანოებისგან, ან მითითება, რომ მიწოდებულ იქნეს არაზუსტი ან შეცდომაში შემყვანი ინფორმაცია.
- შეთანხმებების არასათანადო გასაიდუმლოება, კონფიდენციალობის ჩვეულებრივ დონეზე უფრო მეტად ან უჩვეულო სახელშეკრულებო შეთანხმებები.
- აქტივების ან საწარმოების ძირითადი ბენეფიციარი მფლობელები უცნობია.
- კავშირები პოლიტიკურად აქტიურ პირებთან.
- უარყოფითი ინფორმაცია დამკვეთის ან მისი პარტნიორების შესახებ მასობრივ საინფორმაციო საშუალებებში.

მაგალითი საგადასახადო სტრუქტურირების შესახებ

ბუღალტერმა გაიცნო ახალი დამკვეთი, რომელიც მას იურისტმა წარუდგინა. ამ იურისტს ბუღალტერი სულ რამდენჯერმე შეხვედრია. იურისტი ამბობს, რომ ბ-ნი ქსავიერი წარმატებული ბიზნესმენია სამხრეთ ამერიკიდან, რომელსაც სურს კონსულტაციის გავლა თავისი აქტივების სტრუქტურირებასთან დაკავშირებით, სანამ ბუღალტრის იურისდიქციაში რეზიდენტი გადამხდელი გახდება.

ბუღალტერს ჰქონდა გაცნობითი ხასიათის შეხვედრა ბ-ნ ქსავიერთან და ეკითხება მას გამოცდილებისა და ფინანსური წარმატების შესახებ. ბ-ნი ქსავიერი მეტად ბუნდოვან პასუხებს იძლევა და ამბობს, რომ ფულის უდიდესი ნაწილი რამდენიმე წარმატებული გარიგებიდან შემოდის, რომლებიც თავისმა ძმამ გააფორმებინა და საქონლით საშუამავლო ვაჭრობას უკავშირდება.

როგორც ბ-ნი ქსავიერი ამბობს, მისთვის მნიშვნელოვანია, რომ შექმნილი სტრუქტურა იყოს ფარული და ვერავინ შეძლოს იმის მიკვლევა, რომ ის არის აქტივების მფლობელი, განსაკუთრებით თავის სამშობლოში, სადაც მისი ძმის ყოფილი პარტნიორი ცდილობს მისთვის პრობლემების შექმნას, რადგან ამტკიცებს, რომ ის დაკავშირებულია მაღაროებში იძულებითი შრომის გამოყენებასთან. ბ-ნი ქსავიერი ამბობს, რომ სამუშაო გადაუდებელი, ძალიან სასწრაფოა, რადგან ის ვიზას ელოდება.
იმის გათვალისწინებით რომ ბ-ნ ქსავიერს არ სურს დეტალური ინფორმაციის მიწოდება თავისი სიმდიდრის წყაროს შესახებ, ასევე იმის გამო, რომ ის ითხოვს ინფორმაციის გასაიდუმლოებას და აიძულებს მომსახურების დაჩქარებას, ბუღალტერმა გადაწყვიტა, რომ ამ დამკვეთის მომსახურებას უკავშირდებოდა ფულის გათეთრების მიუღებელი რისკი.

ბუღალტერმა ფინანსური მონიტორინგის ადგილობრივ ორგანოში წარადგინა ანგარიში საეჭვო საქმიანობის (SAR) შესახებ.

*შენიშვნა: სახელები შეცვლილია კონფიდენციალობის დაცვის მიზნით.

რა შემთხვევაში უნდა თქვათ უარი გარიგებაზე

- თუ ცხადია, რომ დამკვეთი აპირებს გადასახადისგან თავის არიდებას, ანდა საგადასახადო ორგანოების მოტყუებას ან შეცდომაში შეყვანას. პროფესიონალმა ბუღალტრებმა უნდა დაიცვან ყველა შესაფერისი კანონი და სხვა ნორმატიული აქტი და არ უნდა იყვნენ დაკავშირებულნი შეცდომაში შემყვან ინფორმაციასთან.
- თუ ეჭვი გაქვთ, რომ დამკვეთი გადასახადების შემცირების ფასადს იყენებს დანაშაულებრივი შემოსავლების დასაფარად კორპორაციული ან სხვა სტრუქტურების საშუალებით.

ანგარიშის წარდგენა საეჭვო საქმიანობის შესახებ (SAR)

თუ ეჭვი გაქვთ, რომ დამკვეთს ან პოტენციურ დამკვეთს ჩადენილი აქვს დანაშაული უკანონო შემოსავლების მიღების სახით, მაშინ თქვენ შეიძლება ვალდებული იყოთ, ფინანსური მონიტორინგის ადგილობრივ ორგანოს წარუდგინოთ ანგარიში საეჭვო საქმიანობის შესახებ. ზოგიერთ ქვეყანაში ეს პროფესიონალი ბუღალტრის სამართლებრივი ვალდებულებაა.

დამატებითი დახმარება

ზოგადი მითითებების გასაცნობად იხილეთ FATF-ის *„სახელმძღვანელო მითითებები ბუღალტერიის პროფესიის რისკზე დაფუძნებული მიდგომის შესახებ“*, ხოლო ადგილობრივი დეტალური ინფორმაციის მისაღებად, მათ შორის, შესაბამისი მარეგულირებელი მოთხოვნების შესახებ, დაუკავშირდით ბუღალტერთა პროფესიულ ორგანიზაციას, რომლის წევრიც ხართ.

IFAC International Federation of Accountants®
529 Fifth Avenue, New York 10017
www.ifac.org | +1 (212) 286-9344 | @ifac | company/ifac

ICAEW
www.icaew.com
@icaew | company/icaew

Copyright © September 2020 by the International Federation of Accountants (IFAC) and the INSTITUTE OF CHARTERED ACCOUTANTS IN ENGLAND AND WALES (ICAEW). All rights reserved. Used with permission of IFAC and ICAEW. Contact permissions@ifac.org for permission to reproduce, store or transmit, or to make other similar uses of this document.

ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციის (IFAC) თანხმობით მის მიერ ინგლისურ ენაზე გამოცემული დოკუმენტი „ფულის გათეთრების საწინააღმდეგო პოლიტიკა: საფუძვლები - ნაწილი 5: საგადასახადო კონსულტაცია“ - ქართულ ენაზე ითარგმნა და გამოქვეყნდა საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაციის მიერ. IFAC-ის მიერ დამტკიცებულ ტექსტს წარმოადგენს მის მიერ გამოცემული ინგლისურენოვანი ვერსია. IFAC თავის თავზე არ იღებს პასუხისმგებლობას თარგმანის სისწორესა და სისრულეზე, არც მისგან გამომდინარე ნებისმიერ ქმედებაზე.

„ფულის გათეთრების საწინააღმდეგო პოლიტიკა: საფუძვლები - ნაწილი 5: საგადასახადო კონსულტაცია“ - ინგლისურენოვანი ვერსია © [2021], IFAC. ყველა უფლება დაცულია.

„ფულის გათეთრების საწინააღმდეგო პოლიტიკა: საფუძვლები - ნაწილი 5: საგადასახადო კონსულტაცია“ - ქართულენოვანი ვერსია © [2021], IFAC. ყველა უფლება დაცულია.

*სათაური ინგლისურ ენაზე: Anti-money laundering: The Basics – Installment 5: Tax Advi*ce

წინამდებარე დოკუმენტის გავრცელების, შენახვისა და გადაცემის, ან ნებისმიერი სხვა სახით მისი გამოყენების თაობაზე დაუკავშირდით IFAC-ს: *Permissions@ifac.org*